

ახალი სოციალური რეალობა: ფეისბუქის აქტიური მოხმარებით
ფორმირებული ცალმხრივი ნაცნობობები, პირადულობის და საჯაროობის
ტენდენციები და ინტიმურობის გამოცდილებები ქართველ მომხმარებლებში

თამარ ტატულიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თათია კეკელია, ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2022

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ ტატულიშვილი

29 ივნისი, 2022

აბსტრაქტი

ნაშრომი შეისწავლის ფეისბუქის აქტიური მოხმარების შედეგად ფორმირებულ ძირითად გამოცდილებებსა და ტენდენციებს ქართველ მომხმარებლებში: ფეისბუქის გავლენას ურბანული სოციალური ცხოვრების ძირითად მახასიათებლებზე და პირადულობისა და საჯაროობის აღქმებსა და საზღვრებს.

ფეისბუქის აქტიური მოხმარებით ფორმირებული ახალი სოციალური რეალობის შესასწავლად ნაშრომი ეფუძნება თვისებრივი კვლევის მეთოდებს: ფეისბუქის აქტიურ მომხმარებლებთან პერსონალურ, არასტრუქტურირებულ ინტერვიუებს და, დამატებით, გამოკვეთილ ტენდენციების სიღრმისეულად შესასწავლად, ჩაღრმავებულ ინტერვიუს ექსპერტთან.

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ფეისბუქის აქტიური მოხმარება ცვლის ძირითად ურბანულ მახასიათებლებს და წარმოქმნის ახალი ტიპის ნაცნობობებს. ამასთან, ქართულ ფეისბუქ-სივრცეში ინტიმური დეტალების საჯაროდ გაზიარება ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა. შედეგად, ფეისბუქის მოხმარებას თან ახლავს სხვადასხვა გამოწვევები და დილემები. მათ შორისაა კონტექსტის კოლაფსი და ნათესავებთან ღირებულებითი კონფლიქტების წარმოქმნა. გარდა ამისა, ფეისბუქის მოხმარება იწვევს საჯარო სფეროს პრობლემების გაღრმავებას, რაც დაკავშირებულია პირადულ და საჯარო სფეროებს შორის საზღვრების მორღვევასთან.

ნაშრომი ხელს შეუწყობს საქართველოში სოციალური მედიის მოხმარების კვლევების მიმართულების განვითარებას, რამდენადაც, ეს მიმართულება ნაკლებადაა გამოკვლეული. გარდა ამისა, ნაშრომი მნიშვნელოვანია საქართველოში საჯარო სფეროს პრობლემების შესწავლის მიმართულებითაც, რადგან ამ მხრივ დღესდღეობით უკვე აუცილებელია სოციალური მედიის გავლენის გათვალისწინება.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სოციალური მედია, ფეისბუქი, ანონიმურობა, იდენტობა და თვითგამოხატვა, პირადულობა და ინტიმურობა, საჯარო სფერო, კონტექსტის კოლაფსი

Abstract

This paper examines the main experiences and tendencies formed by active usage of Facebook among Georgian users: the impact of Facebook on key characteristics of urban social life and perceptions and boundaries of privacy and publicity.

To explore a new social reality formed by active usage of Facebook, this paper is based on qualitative research methods: unstructured face-to-face interviews with active Facebook users and, additionally, in-depth interview with an expert to delve into the identified tendencies.

Research results show that active usage of Facebook changes the main urban characteristics and creates new types of Acquaintances. Besides, sharing intimate details publicly is a common practice in Georgian Facebook space. As a result, Facebook usage is associated with various challenges and dilemmas. Including the context collapse and the initiation of value conflicts with relatives. Furthermore, usage of Facebook exacerbates public sphere problems related to the blurred boundaries between the private and public spheres.

This paper will contribute to social media research development in Georgia, as this field is insufficiently researched. In addition, it is valuable in terms of studying the public sphere related issues in Georgia as nowadays it is crucial to consider the impact of social media in this regard.

Keywords: Social Media, Facebook, Anonymity, Identity and self-expression, Privacy and Intimacy, Public Sphere, Context Collapse